

სასტუმრო ბუდაპეშტი და მერია ამბობენ, რომ ვაკის პარკში მშენებლობაზე ვერ შეთანხმდნენ

on.ge/story/32727-სასტუმრო-ბუდაპეშტი-და-მერია-ამბობენ-რომ-ვაკის-პარკში-მშენებლობაზე-ვერ-შეთანხმდნენ

2019 M01 21

21 იანვარი, 15:23

- [საზოგადოება](#)
- [თბილისი](#)



ფოტო: თამარა ლამბაშიძე / On.ge

206 ნაკითხვა 2 გაზიარება

სასტუმრო ბუდაპეშტისა დამფუძნებელი და თბილისის მერია ამბობენ, რომ ვაკის პარკში მშენებლობაზე ვერ შეთანხმდნენ. სასტუმროს დამფუძნებელი, გიორგი ბაქაიძე ვაკის პარკში მშენებლობის განახლებას ითხოვს, რაზეც მერია უარს ამბობს.


21 იანვარს თბილისი მერთან, კახა კალაძესთან და მის მოადგილეებთან შეხვედრის შემდეგ გიორგი ბაქაიძემ განაცხადა, რომ მერია საზოგადოების მცირე ნაწილის ზეწოლის ქვეშ არის და "ხელების გადაგრეხვაზე არიან გადასულები".

2018 წლის 28 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა კომპანიის სარჩელი და გააუქმა საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილება, რომლითაც ვაკის პარკში სასტუმროების მშენებლობა შეჩერდა.

როგორც ბაქაიძემ ჟურნალისტებს უთხრა, მერიამ მინის ნაკვეთის გაცვლა ან რესტორნის აშენება შესთავაზა, რომელიც ვაკის პარკში ისტორიულად იყო. მისივე თქმით, კომპანიისთვის ყველა პირობა მიუღებელია, ნებართვის არაღდგენის შემთხვევაში სასამართლოს მიმართავენ და ზიანის ანაზღაურებასაც მოითხოვენ.

ფოტო: ანა ვახტანგაძე / On.ge

"მიუღებელია [პირობები], მაშინ რისთვის ვიბრძოდით სასამართლოში. ჩვენ რომ სასამართლო წაგვეგო, ვინმე რამეს შემოგვთავაზებდა? მოვიგეთ ის, რაც გაგვანია და ვიდავებთ საერთაშორისო დონეზე", – აღნიშნა გიორგი ბაქაიძემ.



რაც შეეხება მშენებლობის ნებართვას, დოკუმენტს ვადა 2016 წელს გაუვიდა. ბაქაიძის განმარტებით, მას აქვს 2013 წლის უვადო სპეცნებართვა, რომლის საფუძველზეც მშენებლობის ნებართვა იყო გაცემული და რომელიც სააპელაციო სასამართლომ აღადგინა.

თბილისის მერის მოადგილე ირაკლი ხმაღაძემ დაადასტურა, რომ კომპანიას 30 მეტრის სიმაღლის სასტუმროს მშენებლობის მოთხოვნის უფლება აქვს.

"ეს არის საკმაოდ მძიმე მდგომარეობა, რომელიც მერიას შეექმნა და ჩვენ ყველაფერს ვცდილობთ, რომ ეს არ დავუშვათ. ჩვენთვის არის კატეგორიულად მიუღებელი, რომ გავცეთ ნებართვა. ჩვენ განვიხილავთ ყველა შესაძლო ალტერნატივას, მაგრამ შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ", – აღნიშნა მერის მოადგილემ ჟურნალისტებთან.

პარტიზანი მებაღეების დამფუძნებელი და სამოქალაქო აქტივისტი ნატა ფერაძე მიიჩნევს, რომ ინვესტორთან შეთანხმება შესაძლებელია, თუმცა მერიას ამის სურვილი არ აქვს.

"როგორც ჩანს, მერიას ამის სურვილი არ აქვს და იურიდიულად ვითომ არ გამოსდის. რეალურად, იურიდიულად ეს მარტივად გამოსვლადია", – აღნიშნა ფერაძემ On.ge-სთან საუბრისას.

მისივე თქმით, მერიას სასამართლოს დალოდების გარეშე აქამდეც შეეძლო მშენებლობის ნებართვის გაუქმება, თუმცა მან დრო განელა და ახლა "ქალაქის დაცვის ეგიდით მოქმედებენ". როგორც ფერაძე ამბობს, კალაძე სასტუმროს დამფუძნებელს დაინტერესებული მხარის, სამოქალაქო სექტორის გარეშე არ უნდა შეხვედროდა. ის და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები მოითხოვენ, რომ ინვესტორთან შეთანხმებამდე მერი მათ შეხვდეს.

სასტუმროს მშენებლობა ვაკის პარკში

2013 წლის 24 ივლისის განკარგულებით, თბილისის მერმა თბილისში, ჭავჭავაძის #68-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროს განთავსების მიზნით სპეციალური (ზონალური) შეთანხმება გასცა, რომლითაც ქალაქმშენებლობითი პარამეტრები გაიზარდა. ამავე წლის 20 სექტემბრის ბრძანებით, არქიტექტურის სამსახურმა თბილისში ჭავჭავაძის გამზირ #68-ში სასტუმროს მშენებლობის ნებართვა გასცა.

აღნიშნული განკარგულებისა და ბრძანების გაუქმება *მწვანე ალტერნატივამ* 2014 წელს საქალაქო სასამართლოში მოითხოვა. ორწლიანი დავის შემდეგ საქალაქო სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა – სადავო საკითხის

გადაუწყვეტლად მერიის 24 ივლისის განკარგულება ბათილად იქნა ცნობილი.

2016 წელს *მწვანე ალტერნატივამ* სააპელაციო საჩივარი წარადგინა და წინა ინსტანციის გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმება მოითხოვა, რომლითაც საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოითხოვა სარჩელის სრულად დაკმაყოფილება. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს, ასევე, *შპს გრაალმა* და *შპს ტიფლის კოსტავამ*, რომლებიც აშენებენ სასტუმრო *ბუდაპეშტს*.

2018 წლის 28 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა კომპანიების სარჩელი და გააუქმა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

გაიგეთ მეტი: [თბილისის მერია, ვაკის პარკი](#)

19 წუთის წინ